№1567 2015 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიეცეს თანხმობა, ამ განკარგულების მე-2 პუნქტში განსაზღვრულ პირებს უსასყიდლოდ, დროებით ვადიან სარგებლობაში, აუქციონის გარეშე გადასცეს შემდეგი სახის მოძრავი ქონება:

ა) საარჩევნო ყუთები;

ბ) კენჭისყრის კაბინები;

გ) სხვა საარჩევნო ინვენტარი.

2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების დროებით ვადიან სარგებლობაში, აუქციონის გარეშე, წერილობითი მიმართვების საფუძველზე გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ:

ა) იმ კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის:

ა.ა) რომელთა საქმიანობაც პირდაპირ დაკავშირებულია არჩევნებზე სადამკვირვებლო საქმიანობასთან;

ა.ბ) რომელთაც სამართლებრივი სახის ურთიერთობები აქვთ საარჩევნო ადმინისტრაციასთან ან/და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციასთან;

ა.გ) რომელთაც აღნიშნული ინვენტარი ესაჭიროებათ საკუთარი წესებით ან/და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებულ ჩასატარებელ არჩევნებსა თუ სხვა მსგავსი დანიშნულების არაკომერციული სახის საქმიანობასთან;

ბ) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობებისათვის.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციების წერილობითი მიმართვის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ პირად განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

4. განკარგულება ძალაშია 2016 წლის პირველ სექტემბრამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**